ვაკანსიის № 54037

თანამდებობის დასახელება	მეორე რანგი - საჯარო დაწესებულების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი
პოზიციის დასახელება	შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის მიგრაციის საკითხთა სამმართველოს უფროსი
კონკურსის ტიპი	დახურული კონკურსი
ორგანიზაცია	საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალ
კატეგორია	შრომა და დასაქმება
განცხადების ბოლო ვადა	03.03.2019
თანამდებობრივი სარგო	2500 ლარი
ადგილების რაოდენობა	1
სამსახურის ადგილმდებარეობა	თბილისი
სამუშაოს ტიპი	სრული განაკვეთი

ფუნქციები

- შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკისა და კანონმდებლობის სრულყოფის მიზნით წინადადებებისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების პროექტების მომზადება;
- საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი კანონიერი დასაქმების შესაძლებლობებისა და ამ სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის განვითარების შესახებ წინადადებების მომზადება;
- დროებითი შრომითი მიგრაციის სფეროში სახელმწიფოთაშორისი თანამშრომლობის შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების პროექტების მომზადება/მომზადებაში მონაწილეობა;
- უცხოელი დამსაქმებლის მოთხოვნების შესაბამისად კანდიდატურების წინასწარი (პირველადი) შერჩევის პროცესის კოორდინაცია და ორგანიზება;
- საქართველოს მოქალაქეების საზღვარგარეთ დროებითი კანონიერი დასაქმების ორგანიზების მიზნით პროფილურ სახელმწიფო უწყებებთან, დიპლომატიურ წარმომადგენლობებთან, საერთაშორისო ორგანიზაციებთან, დამსაქმებლებთან და დასაქმების კერძო სააგენტოებთან თანამშრომლობის მიზნით წინადადებების მომზადება;
- საზღვარგარეთ დასაქმების ხელშემწყობი სააგენტოებისა და კერძო პირების საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება და დეპარტამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- შრომითი მიგრაციის რისკების შესახებ ანგარიშების მომზადება;
- შრომითი მიგრაციის სფეროში სავალდებულოდ აღიარებული საერთაშორისო კონვენციების, რეკომენდაციების, შეთანხმებების შესრულების
თაობაზე პერიოდული ანგარიშების უზრუნველყოფა;
- საქართველოში ფუნქციონირებადი დასაქმების კერძო სააგენტოების სახელმწიფო რეესტრის წარმოებისა და ანგარიშების მომზადების კოორდინაცია;
- საქართველოში ემიგრაციიდან დაბრუნებულ საქართველოს მოქალაქეთა რეინტეგრაციის პოლიტიკის დოკუმენტის პროექტის შემუშავება;
- შესაბამისი სარეინტეგრაციო მხარდაჭერის პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა;
- საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პროგრამების შემუშავება და განხორციელების ხელშეწყობა;
- მიგრაციის სფეროში არსებული სტრატეგიებისა და სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე სახელმწიფო პროგრამის პროექტების მომზადებაში მონაწილეობა;
- სამმართველოს სხვა ფუნქციებისა და დავალებების შესრულების კოორდინაცია და ხელმძღვანელობა;
- სამმართველოს თანამშრომლებს შორის ფუნქციების განაწილება, მათი საქმიანობის კოორდინაცია და სამსახურებრივი მოვალეობების შესრულების ზედამხედველობა;
- სამმართველოს თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და წახალისების შესახებ შესაბამისი წინადადებების დეპატრამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- სამმართველოს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშების მომზადება და დეპატრამენტის ხელმძღვანელობისათვის წარდგენა;
- კომპეტენციის შესაბამისად, დეპარტამენტის ხელმძღვანელობის დავალებების შესრულების უზრუნველყოფა;
- კანონმდებლობით განსაზღვრული სხვა უფლებამოსილებების განხორციელება.

მოთხოვნები

მინიმალური განათლება	მაგისტრი
სამუშაო გამოცდილება	2 წელი

პროფესია	მიგრაციის კვლევები

საკონკურსო თემატიკა

ა) საქართველოს კონსტიტუცია;
ბ) ევროპის სოციალური ქარტიის მე-19 მუხლი;
გ) „ყველა მიგრანტი მუშაკისა და მათი ოჯახის წევრთა უფლებების დაცვის შესახებ” გაეროს 1990 წლის საერთაშორისო კონვენცია;
დ) „დასაქმების კერძო სააგენტოების შესახებ“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია N-181;
ე) ,,საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონი;
ვ) „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ” საქართველოს კანონი;
ზ) ,,საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონი;
თ) „შრომითი მიგრაციის შესახებ” საქართველოს კანონი;
ი) „იურიდიული პირის, ინდივიდუალური მეწარმის ან უცხო ქვეყნის საწარმოს ან არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ფილიალის (წარმომადგენლობის, მუდმივი დაწესებულების), მიერ უცხოელი დამსაქმებლის შესახებ ინფორმაციისა და შრომითი მიგრაციის სფეროში განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 დეკემბრის N631 დადგენილება;
კ) ,,შრომითი იმიგრანტის (საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვის არმქონე უცხოელის) ადგილობრივ დამსაქმებელთან შრომითი მოწყობისა და ანაზღაურებადი შრომითი საქმიანობის განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2015 წლის 7 აგვისტოს N417 დადგენილება;
ლ) „ადგილობრივი დამსაქმებლის მიერ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებულ სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტოსთვის საქართველოში კანონიერად მყოფი იმიგრანტის დასაქმების შესახებ შეტყობინების წესის შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 ნოემბრის N01-54/ნ ბრძანება.

კომპიუტერული პროგრამები, ოპერაციული სისტემები

პროგრამის დასახელება	ცოდნის დონე
Microsoft Office Word	კარგი
Microsoft Office Excel	კარგი
Microsoft Office PowerPoint	კარგი
Microsoft Office Outlook	კარგი

ენები

ენა	წერითი უნარები	მეტყველება
ინგლისური	B2	B2
რუსული	B2	B2

საკონტაქტო ინფორმაცია

საკონკურსო კომისიის მისამართი	ქ. თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი N144
საკონტაქტო ტელეფონები	2510041 (0612)
საკონტაქტო პირი	სალომე ტყეებუჩავა

დამატებითი მოთხოვნები

გამოცდილება - 2 წლიანი მუშაობის გამოცდილება დასაქმებისა და მიგრაციის მიმართულებით.

დამატებითი ინფორმაცია

- კონკურსანტმა შესაბამის გრაფაში უნდა ატვირთოს შემდეგი დოკუმენტები:
- განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამუშაო გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტი (ორგანიზაცია, თანამდებობა, დანიშვნისა და გათავისუფლების თარიღების მითითებით) საკონკურსო მოთხოვნების შესაბამისად;
- „სამოტივაციო წერილი“ - ამ თანამდებობაზე კანდიდატის შესაბამისობის შესახებ.
- კონკურსანტმა ასევე, უნდა მიუთითოს არანაკლებ 2 რეკომენდატორი, რეკომენდატორების საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.
- საბუთები წარდგენილი უნდა იქნეს სახელმწიფო ენაზე (უცხოურენოვანი საბუთის შემთხვევაში საჭიროა მისი ნოტარიულად დამოწმებული თარგმანის წარდგენა).

- დახურული კონკურსი ცხადდება საჯარო სამსახურის სისტემის მასშტაბით და გულისხმობს შესაფერისი კანდიდატის

შერჩევას მოქმედი მოხელეებიდან, მოხელეთა რეზერვში ჩარიცხული მოხელეებიდან და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირებიდან; ამასთანავე, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირს უფლება აქვს, მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურსში, თუ იგი არანაკლებ 1 წელი მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში.
- შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი ვაკანტურ თანამდებობაზე მიიღება გამოსაცდელი ვადით, რომლის ხანგრძლივობა შეადგენს 12 თვეს.
- დამატებითი დოკუმენტაციის ველში სავალდებულოა აიტვირთოს დოკუმენტი, რომლითაც დასტურდება, რომ კანდიდატი არის პროფესიული საჯარო მოხელის სტატუსის მქონე პირი ან შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელიც არანაკლებ ბოლო ერთი წლის განმავლობაში მუშაობს საჯარო სამსახურის სისტემაში (რითიც ასევე დასტურდება, რომ უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს დახურულ კონკურში).
- კონკურსის ეტაპების შედეგების შესახებ კანდიდატს ეცნობება მის მიერ განაცხადში მითითებული ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

შეფასების ეტაპზე შემოწმდება:
- საკონკურსო თემატიკის შესაბამისად კანონმდებლობის ცოდნა და ანალიზის უნარი.
- კანდიდატის თანხმობის შემთხვევაში განხორციელდება გასაუბრების აუდიო ჩაწერა.

გადაწყვეტილების მიღების ფორმა და ვადა

გადაწყვეტილება მიიღება საკონკურსო კომისიის მიერ კენჭისყრით, განაცხადების მიღების ვადის დასრულებიდან 3 თვის ვადაში.

კონკურსის ეტაპები

განცხადების გადარჩევა
ზეპირი დავალება
გასაუბრება

სავალდებულო ბლოკები

☑სამუშაო გამოცდილება
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑განათლება კვალიფიკაცია
☑ფაილის ატვირთვა სავალდებულოა

☑ენები

☑კომპიუტერული პროგრამები, დაპროგრამების ენები, ოპერაციული სისტემები

☑დამატებითი დოკუმენტაცია